

ჯოჯოხეთში დაუტევნელი

კაცი ვინმე იყო ყოვლისა ბოროტისა მოქმედი და დიდად მლოცავი. რა ბოროტისაგან მოიცალის, დაიწყის ლოცვა და ტირილი. მოვიდა ანგელოზი და უთხრა კაცსა მას: ავნაქმართა შენათვის სამოთხე არ მოგცა უფალმან და, რადგან ესრეთ მლოცავი ხარ, სამოთხისა კიდე, რაცა ითხოვო, მოგცესო.

მან კაცმან ესრე უთხრა:

- თუცა სამოთხე არ მომეცემის და სხვას სათხოვარს აღმისრულებს, ესრეთ დიდი შემქნას, ჩემგან მეტი ჯოჯოხეთში ვერვინ დაეტიოს! - ეს ველარ უყო ღმერთმან და ისრევ სამოთხე მისცა მას კაცსა.

ეგე ესეთის გრძნებისა. მოქმედია, ესრეთს რასმეს გვითხრობს, მისი ქმნა არ ეგებოდეს და მეფობავე შენი მიიღოს.

გაიცინა ლეონ და თქვა არაკი: